

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო
ლიცეუმი

რუსული ენის მასწავლებლის იზა ნიკოლეიშვილის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

რუსული ენის სწავლების დროს ზეპირმეტყველებასთან
დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა,
ეფექტური რესურსების გამოყენებით

2018-2019 სასწავლო წელი

შინაარსი

შესავალი	3
მოკლე ინფორმაცია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შესახებ.....	4
საკვლევ საკითხის აქტუალურობა	6
პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები	7
კვლევის მიზანი	7
საკვლევ კითხვების ფორმულირება.....	8
ლიტერატურის მიმოხილვა	9
<i>კვლევის დაგეგმვა და სამიზნე ჯგუფი.....</i>	<i>12</i>
კვლევის მიგნებები.....	17
განხორციელებული ინტერვენციები.....	18
დასკვნა და რეკომენდაციები	23
გამოყენებული ლიტერატურა.....	25
რეფლექსია	26

შესავალი

რუსული ენის გამოყენების სივრცე საქართველოში, 20 წელია, სულ უფრო ვიწროვდება. დღეს რუსული ენის ცოდნა არ არის აუცილებელი წინაპირობა კარიერული წინსვლისთვის, ამას დაემატა ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები და ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების მოშლა. შესაძლოა, ბოლო რამდენიმე წელიწადში რუსეთიდან გაზრდილმა ტურისტულმა ნაკადმა ხელი შეუწყოს რუსული ენის მიმართ ინტერესის დაბრუნებას, თუმცა საქართველოში პირველი უცხო ენის სტატუსს ვეღარ დაიბრუნებს.

საქართველოში მას საყოფაცხოვრებო დონეზე არც ისე აქტიურად იყენებდნენ, თუმცა ის ხშირად დომინირებდა სახელმწიფო უწყებებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, ამ ენაზე საკუთარი აზრის გამოთქმა უყვარდა ქართულ ინტელიგენციას. რუსული ენის ცოდნა აუცილებელი იყო კარიერული წინსვლისთვის. დღეს კი გლობალურ სივრცეში საკომუნიკაციო ენად დარჩა. დღეს რუსულმა ენამ განსაღმრთობით ახალგაზრდებში ფუნქცია დაკარგა და ამას ორი რამ განსაზღვრავს – ერთი მხრივ, პოლიტიკური ფაქტორი და მეორე და ყველაზე მთავარი – პრაგმატული მოსაზრებები.

“რუსულსაც ვსწავლობ, მაგრამ არც ისე კარგად, – მეუბნება ალექსი, – რუსული მხოლოდ სკოლისთვის გვჭირდება, ინგლისურად კი ფილმებს ვუყურებთ და წიგნებს ვკითხულობთ. ინტერნეტშიც ყველაფერი ინგლისურადაა”.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის X კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.

ნაშრომში განხილულია რუსული ენის სწავლების დროს ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა, ეფექტური რესურსების გამოყენებით, მათ გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები.

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, წამოვაყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა X კლასში არსებული ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და

მისი გადაჭრის, გაუმჯობესების გზებს.

ზეპირმეტყველების უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უცხო ენის სწავლების პროცესში. ამ უნარის განვითარება, ამავდროულად, პრობლემურიცაა, რდგან, შესაფერისი აქტივობების დაგეგმვის გარდა, გასათვალისწინებელია მოსწავლეთა სოციალური უნარებიც, როგორებიცაა: თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, მოტივაცია.

ზეპირმეტყველების უნარის განვითარებას ახლავს უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგ: შიში ან სიმორცხვე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სასაუბრო თემის ირგვლივ შესაფერისი ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულების და სტრუქტურების არცოდნით, ასევე შეცდომის დაშვების შიშით. ამიტომ მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს გაკვეთილები, რომ გაითვალისწინოს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური განვითარების დონე, შესთავაზოს მათ საინტერესო და სახალისო აქტივობები.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას, მკვლევარებისა და სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთ გუნდად ერთიანდებიან, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

მოკლე ინფორმაცია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შესახებ

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი 2010 წლის 2 აგვისტოს, ქალაქ ქუთაისში დაარსდა. 2014 წლის 15 სექტემბერს, ლიცეუმს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი მიენიჭა და აღნიშნული თარიღი, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დღედ გამოცხადდა. 2012 წლის 1 ივლისს, ლიცეუმის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება შედგა, სასწავლებელი 78-მა კადეტმა დაამთავრა. 2016 წელს ლიცეუმში, სასწავლებლის ისტორიაში პირველად, გოგონები ჩაირიცხნენ.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მისიაა ეროვნული ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების აღზრდა, კადეტებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, თანამედროვე სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ამძღვრება. ლიცეუმში ყველა პირობაა შექმნილი კადეტების პატრიოტული, ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის, მათში ოფიცრის პროფესიის დაუფლების სურვილის გაღვივებისთვის.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სასწავლო პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ლიცეუმში პანსიონური ტიპისაა და კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედიცინო მომსახურებით, კვებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის X კლასში 2018-2019 სასწავლო წლისთვის ირიცხება სწავლობს 15 მოსწავლე: 2 გოგონა, 13 ვაჟი. ამ ლიცეუმში მოსწავლეები რუსულ ენას X კლასშიდან სწავლობენ. მოსწავლეებთან ვმუშაობ სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ თანამედროვე მიდგომებით. გამუდმებით ვზრუნავ ჩემს პროფესიულ განვითარებაზე, გავდივარ ტრენინგებს, ვკითხულობ შესაბამის ლიტერატურას, ვეცნობი სხვადასხვა ნაშრომს. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ვნერგავ სწავლების პროცესში. ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში, რაც ხელს მიწყობს ხარისხიანად წარმართო სწავლა-სწავლების პროცესი. კლასი არის მოტივირებული, მაგრამ წინარე ცოდნის არასაკმარისობის გამო მაღალ აკადემიურ მოსრებას ვერ აფიქსირებენ.

საკვლევი საკითხის აქტუალობა

ვთვლი, რომ უცხო ენის სწავლებისას ერთ-ერთი სავალდებულო და საჭირო აქტივობაა მოსწავლეებისათვის ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება.

დასაწყისიდანვე ყურადღებით ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მზაობას რუსული ენაზე საუბარში ჩართულობის კუთხით. აშკარა იყო, რომ მოსწავლეები აქტიურად ერთვებოდნენ დაგეგმილ სახალისო აქტივობებში და დიდი სურვილი ჰქონდათ მასში მონაწილეობის მიღებისა, თუმცა ნათლად ჩანდა მოსწავლეთა მორიდებული დამოკიდებულება მასწავლებელთან კომუნიკაციისას, რაც გულისხმობს შეცდომის დაშვების შიშს, ანუ მოსწავლეები საკუთარი ცოდნის რეალიზებას თამამად ვერ ახდენდნენ.

თითქოს, ბუნებრივად გამოიკვეთა საზრუნავი-ზეპირმეტყველებით გამოწვეული სირთულეები და მისი გადაჭრის გზები რუსული ენის სწავლების პროცესში.

სწორედ ამიტომ, ჩემი კვლევა მივუძღვენი ამ მეტად აქტუალურ საკითხს: X კლასში ზეპირმეტყველებისას გამოწვეული სირთულეები და მისი გადაჭრის გზები რუსული ენის სწავლების პროცესში ეფექტური რესურსების გამოყენებით. აღნიშნული კვლევა **სარგებლობას** მომიტანს მე, როგორც პედაგოგს იმ კუთხით, რომ ჩემი პროფესიული საქმიანობა გახდება კიდევ უფრო ხარისხიანი. ჩემს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევა.

საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანია ყველა კლასში, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, მაგრამ აქვე უნდა განვსაზღვროთ ისიც, სად და როგორ ვიყენებთ ამ რესურსებს, და ისიც, თუ რა მოცულობითა და სიხშირით გამოვიყენებთ რესურსებს რუსული ენის გაკვეთილებზე.

რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სწავლა უფრო ხალისიანი, მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული იყოს?

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

დავიწყე მუშაობა პრობლემის გამომწვევ სავარაუდო მიზეზებზე და გავაცნობიერე: ზეპირმეტყველების მახასიათებლები და მასთან დაკავშირებული ძირითადი სირთულეები. ვთვლი, რომ გამომწვევი მიზეზების სწორად დადგენა მნიშვნელოვანია და

დაეხმარება მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრაში.

ზეპირმეტყველების პრობლემები მრავალმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს. ვთვლი, რომ ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

- მწირი ლექსიკური მარაგი;
- შეცდომის დაშვების შიში;
- წინადადების შედგენის სირთულე;
- შესაბამისი გარემოს არქონა;
- მშობლიურ ენაზე აზროვნება;
- თავდაუჯერებლობა;
- ფრაზების არცოდნა;
- აუდიტორიის შიში.

კვლევის მიზანი:

- X კლასში ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების შესწავლა, დადგენა, გამოკვლევა.
- პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების გამონახვა.
- შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.
- მიღწეული შედეგების შეფასება.

.კვლევის ამოცანები

- დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე;
- ფოკუს-ჯგუფის შექმნა;
- დისკუსიები და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- მოსწავლეთა, მშობელთა გამოკითხვა;
- პედაგოგთა გამოკითხვა;
- მონაცემების კოდირება და ანალიზი;
- შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია.

- როგორ მოქმედებს რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხზე;
- რა ტიპის რესურსები არსებობს;
- რა დონით არის ჩართული რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლებაში;
- რისთვის და როგორ იყენებენ ამ რესურსებს მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები;
- რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სწავლა უფრო ხალისიანი, მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული იყოს?
- რა კონკრეტული რჩევები უნდა მივცეთ რუსული ენის მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს?

საკვლევი კითხვების ფორმულირება.

კვლევის მთავარი კითხვა:

„რა არის პრობლემის გამომწვევი მიზეზები და როგორია მათი გადაჭრის გზები?“
 კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვყალიბებ შემდეგი ქვეკითხვები:

- როგორ მუშაობენ მოსწავლეები ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე?
- აქვთ თუ არა გამართულად ლაპარაკის დეფიციტი?
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციის დახარისხება, დაჯგუფება და ა.შ.
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს მთავარი და მეორე ხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა?
- აქვთ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაციის გადამუშავების პრობლემები?

ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ უშუალოდ შევუდგებოდი პრაქტიკული კვლევის განხორციელებას, შევისწავლე თეორიები კომუნიკაციური სწავლების მეთოდებზე/მიდგომებზე.

ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი (communicative language teaching)

საკმაოდ თანამედროვე მეთოდია. ლის (Li, 1984) თანახმად, „ენა არის კომუნიკაცია და ენის სწავლა არის კომუნიკაციის სწავლა“ (გვ. 5)

რიჩარდსი და როჯერსი (Richard and Rodgers,1997)საუბრობენ ენის კომუნიკაციურ სწავლებაზე, როგორც მიდგომაზე და არა როგორც მეთოდზე, რომლის მიზანია კომუნიკაციური კომპეტენციის შექმნა და ენის ოთხი უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის ნიადაგის მომზადება.

ლაითელვუდის (Litel wood,1996) აზრით, უცხო ენა გამოყენებულ უნდა იქნას,როგორც სამეტყველო-სააზროვნო აქტივობის იარაღი. მისთვის საჭირო უნარ- ჩვევების განვითარებას კი ხელს უწყობს კომუნიკაციური სწავლების მეთოდები, რომლის საშუალებითაც ძალზე წარმატებული ხდება ენის დაუფლება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას შემსწავლელები ერთვებიან შემდეგ აქტივობებში: დიალოგების წარმართვა, ჯგუფური თუ წყვილური მუშაობა, როლური თამაშები და სხვ.მოცემულ აქტივობაზე დაყრდნობით, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მათ მიერ ენის პრაგმატულ და ფუნქციურ გამოყენებას.ჰოვატი(Howatt,1984, გვ.279) გამოყოფს ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდის

„ძლიერ“ და „სუსტ“ ვერსიებს. „სუსტი“ ვერსია გულისხმობს ენის კომუნიკაციური მიზნით გამოყენებას, ხოლო „ძლიერი“ ვერსიის მიხედვით კი, ენას ვეუფლებით კომუნიკაციის გზით. კომუნიკაციური სავარჯიშოების გამოყენებისას სასურველ შედეგს რომ მივაღწიოთ,საჭიროა ისინი დამყარებული იყოს რეალურ სიტუაციაზე,რეალურ როლებსა და საჭიროებებზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მიხედვით საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მონაწილეობა მიიღოს ინტერაქციაში მისთვის ნაცნობ თემატიკაზე;
- ისაუბროს მისთვის საინტერესო გადაცემაზე,ფილმზე,გმირზე,მოგზაურობაზე და სხვ.
- წარმოადგინოს ზეპირი მოხსენება/პრეზენტაცია აქტიური საკითხის,

პრობლემის გარშემო.

შედეგზე გასასვლელად აუცილებელია მასწავლებელმა იმუშაოს შემდეგ საკითხებზე:

- რა არის კომუნიკაციის/ზეპირმეტყველების როლი და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი;
- როგორ ვითარდება კომუნიკაციის უნარი;
- ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები და სტრატეგიები;
- ზეპირი მეტყველების უნარების სწავლების ზოგადი პრინციპები;
- ძირითადი რჩევები მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების /კომუნიკაციური უნარების გასავითარებლად.

კვლევის დაგეგმვა და სამიზნე ჯგუფი

კვლევაში ჩართულ ფოკუს-ჯგუფებს წარმოადგენდა:

- ლიცეუმის X კლასის მოსწავლეები.
- X კლასის მშობლები.
- ლიცეუმის უცხო ენის პედაგოგები.

კვლევის განხორციელებას სჭირდება 6-6,5 თვე; საჭიროა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის განხორციელება, რათა გაირკვეს, რამდენად ესმის თანამედროვე მშობელს, ოჯახის უფროს წევრებს, თუ რა როლი უკავია მატერიალურ, სასწავლო, თუ ინტერნეტრესურსებს სწავლა-სწავლების პროცესში, რა როლი უკავია (როგორც ადამიანურ რესურსებს) და რამდენად მჭიდროა კავშირი მშობლისა და მასწავლებლის, მშობლისა და სკოლის ადმინისტრაციის. თუ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები იქნება ეფექტური, შემუშავდება რეკომენდაცია, როგორც მშობლისთვის, ისე მოსწავლეებისათვის.

კვლევის მეთოდები: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები, დაკვირვება, ფოკუსჯგუფი.

მოსალოდნელი შედეგები:

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები ეფექტურად იმუშავებს სასწავლო პროცესის გააქტიურებაზე და სასწავლო პროცესს სამივე სემანტიკისთვის გახდის უფრო საინტერესოს, რადგან გაზომავს შერჩეული რესურსები რამდენად შეცვლის სწავლა-სწავლების ხარისხს ასაკის გათვალისწინებით.

№1 ფოკუსჯგუფის განსახილველი თემები

1. თქვენი აზრით, რომელ თემას/საკითხს უნდა დაეთმოს მეტი სასწავლო საათი?
2. რუსული ენის სწავლისას რომელი საკითხი საჭიროებს მეტ ვიზუალიზაციას?
3. რამდენი დრო გეხარჯებათ წერითი დავალების შესრულებაზე /სწავლაზე?

4.რამდენი საათი ხართ ინტერნეტში?


5.იყენებთ თუ არა სწავლისათვის აუცილებელ დამატებით ინტერნეტრესურსებს? რომელს ?

6.თქვენი აზრით, რა ობიექტური და სუბიექტური გარემოება უშლის ხელს მოსწავლეს მაქსიმალურად გამოიყენოს თავის პოტენციალი?

7. გაქვთ თუ არა ტერმინოლოგიის გაგების პრობლემა?


8. თქვენი აზრით, რამდენად ადვილად არის გადმოცემული გრამატიკის მასალა სახელმძღვანელოებში?

მოსწავლეთა გამოკითხვით დავადგინე:




მეტყველების დაძლევის ფორმად რუსულენოვანი ფილმების ყურებაა რეკომენდირებული.

სკოლის გარეთ კომუნიკაციის საშუალებები




■ ფილმის ყურება ■ მუსიკების მოსმენა ■ მხოლოდ სკოლის აქტივობა

შეუძლიათ თუ არა მშობლებს დახმარების გაწევა



■ არა ■ კი



მეტყველების გაუმჯობესების ხერხები:



■ მოსმენით სწავლა ■ დისკუსია საინტერესო თემაზე

- გამოკითხულ მოსწავლეთა 100 % მიიჩნევს, რომ უცხო ენის შესწავლისას ლაპარაკის უნარ-ჩვევა ერთ ერთი აუცილებელი კომპონენტია.
- ასევე 100 % თვლის, რომ ინგლისურის სწავლა უფრო უადვილდებათ, ვიდრე რუსული

.მშობელთა გამოკითხვით მინდოდა დამედგინა და დავადგინე შემდეგი:



- გამოკითხულ მშობელთა 100 % მიიჩნევს, რომ უცხო ენის შესწავლისას ლაპარაკის უნარ-ჩვევა ერთ ერთი აუცილებელი კომპონენტია.
- გამოკითხვაში მონაწილე მშობელთა რაოდენობა: 100 % დედა.

კვლევის მეთოდი „დაკვირვება“ მოვახდინე საგაკვეთილო პროცესის დროს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებზე.

მიღებული შედეგების მონაცემები შემდეგია: კერძოდ, ჩემ მიერ კვლევის პროცესში ჩართული დაკვირვების მეთოდით, ფოკუსირებული დაკვირვების მეთოდით და შერჩევითი დაკვირვების მეთოდით დავადგინე, პრობლემები შემდეგ უნარებში:

- ლექსიკური მარაგის სიმწირე ;
- კომპლექსი არასწორი მეტყველებისა;
- მოსმენისადმი არასწორი დამოკიდებულება;
- შეცდომის დაშვების შიში;
- ზერელე დამოკიდებულება საგნისადმი.

კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მოსწავლეები გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ნაკლებად მუშაობენ და ეცნობიან დამხმარე ლიტერატურას;
- მოსწავლეები ნაკლებად ფლობენ ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევის ტექნიკას;
- მოსწავლეები ნაკლებ დროს (არასაკმარის დროს) უთმობენ ინგლისურში დავალების შესრულებას სახლში;
- მშობლებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ და დამხმარება გაუწიონ შვილებს.

შესაძლო ინტერვენციები:

კვლევის პროცესში ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავე საგარეუდო ინტერვენციების შემდეგი ვარიანტები:

- დისკუსია მოსწავლეებთან თემებზე „რატომ არის მნიშვნელოვანი საუბრის უნარის ქონა მოსწავლეებში“;
- მოსმენის სავარჯიშოების მრავალჯერადი გამოყენება.თამაში ბარათებით;
- ინგლისურენოვანი ფილმის ჩვენება, გარჩევა-განხილვა;
- ყოველდღიური ამბის მოყოლა ინგლისურად.

განხორციელებული ცვლილებები:

შევარჩიე და განვახორციელე შემდეგი ცვლილებები:

- მოსწავლეებთან მოვაწყვე დისკუსია თემაზე: „რატომ არის მნიშვნელოვანი საუბრის უნარის ქონა მოსწავლეებში“. დისკუსიამ საინტერესოდ ჩაიარა. მოსწავლეებმა გაითავისეს და გაიგეს რამდენად აუცილებელია კომუნიკაციური უნარების განვითარება.
- დავიწყეთ მოსმენის სავარჯიშოების გამოყენება,ასევე თამაშები რუსულ ენაზე.მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ავარჩიეთ სხვადასხვა სახის მოსასმენი ტექსტები,სიმღერები,რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებდათ. მოსწავლეები ხალისით შეუდგნენ მათთვის საინტერესო თემებზე მოსმენის სავარჯიშოების შესრულებას.
- გამომდინარე იქიდან, რომ ელექტრონულ ვიდეო-რესურსებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, მოსწავლეებს ვაჩვენებდი სხვადასხვა ვიდეო-რესურსს. დავიწყე ნაბიჯ-ნაბიჯ გაგება-გააზრების სტრატეგიებზე მუშაობა. ამისთვის, ისევ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ავირჩიეთ რუსულენოვანი ფილმი,რომელიც განვიხილეთ და გავარჩიეთ ეტაპობრივად.

ინტერვენციის ჩატარება

კვლევის დაწყებამდეც გაკვეთილზე ვიყენებდი მრავალფეროვან რესურსებს, მეთოდებს და აქტივობას, როგორებიცაა, მაგალითად: ვიცი, მინდა ვიცოდე, გავიგე; ჯგუფური მუშაობის სეგმენტური მეთოდი და მეთოდი „ყვავილი“, წყვილებში, ჯგუფებში და ტრიალებში“, ახალი მასალის ახსნის დროს ხშირად ვიყენებდი განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს - შუქნიშანს, აღსანიშნავია, რომ ეს დასარიგებელი რესურსი - წითელი ბარათები სიტყვით „აკრძალულია“ „Запрещено“ და მწვანე სიტყვით „აუცილებელია“ „Нужно“ მოამზადეს მოსწავლეებმა. ინტერვენციის ფარგლებში დავგეგმე და განვახორციელე მრავალფეროვანი აქტივობა. დამატებითი მასალა შემქმნდა ან თავად მოსწავლეს ვთხოვდი, მოეძიებინათ გაკვეთილის თემატიკასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. სლაიდ-შოუს გარდა, ხშირად ვიყენებდი ვიდეო ფილმებს, მაგალითად. „Инфоурок“ რათა გამეზარდა მოსწავლეთა დაინტერესება და თან სასწავლო გარემო ყოფილიყო სახალისო.

მაგალითად, თემის „პეტერბურგის“ გავლის დროს ვაჩვენებდი ვიდეოფილმს „Петербург-город Петра.“ ყველა კლასში პროგრამული მასალის გავლის დროს სისტემატურად ვიყენებ აუდიოჩანაწერებს - ვასმენინებ მხატვრულ ნაწარმოებებს, დიალოგებს, სიმღერებს და ზღაპრებს. ინტერვენციისათვის დავგეგმე და ჩავატარე მთელი რიგი აქტივობა, ვეცადე გამომეყენებინა რესურსების მთელი სპექტრი - გაკვეთილებიდან დაწყებული კონფერენციით და სასწავლო ექსკურსიით დამთავრებული. პირველ რიგში კი, ჩავატარე სხვადასხვა მიმართულების გაკვეთილები, მათ შორის, ორი ღია სტანდარტული და ერთი სამოდელი. შევადგინე საგაკვეთილო რესურსები -კროსვორდები, „მოლოდინის ხე“თემაზე „პროფესიები“, შევადგინე დიაგნოსტიკური, შემაჯამებელი და სავარჯიშო ტესტები სამივე დონის მოსწავლეთათვის და ბევრი სხვა. სწავლის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თვითონ, თავისი ხელით შექმნან სასწავლო რესურსები, მოსწავლეებმა თავად შექნეს სასწავლო რესურსები რუსულ ენაზე.

კლასში აქტიურად ვიყენებ დამატებით მხატვრულ და სასწავლო ლიტერატურას, როგორც რესურსს.

ჩავატარე გაკვეთილები თემაზე „*მოდის ახალი წელი*“ და გამოვიყენე ჩემს მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დავებმართო უფროსკლასელებს პროფესიის არჩევანში, ამიტომ ჩავატარე სასწავლო- საგანმანათლებლო ექსკურსიები ინტერნეტ საიტებით.

მ ოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა კონფერენციაში და მრგვალი მაგიდის მუშაობაში. ექსკურსია, როგორც რესურსი, აღმოჩნდა ძალიან შედეგიანი. ყველა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ამ ტიპის სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებას ესტუმრნენ პირველად და ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ.

ჩავატარე გაკვეთილი თემაზე „*დედამიწა ჩვენი სახლია*“. გამოვიყენე, როგორც ელექტრონული რესურსი- აუდიოჩანაწერი, ისე გაკვეთილისთვის საგანგებოდ შედგენილი კროსვორდები.

მთელი ინტერვენციის პერიოდში ვცდილობდი მუდმივი კონტაქტი მქონოდა მშობლებთან.

დავგეგმე და ჩავატარე გაკვეთილი-თამაში ნასწავლი ლექსიკის გამეორებაზე. თემა - „*მეგობრობა*“ (ტექსტი „*კეთილი დიასახლისი*“). გაკვეთილზე ჩავრარე ორი თამაში - ესტაფეტა სასიგნალო ბარათების გამოყენებით (მიზანი - ნასწავლი ტექსტის გაგება-გააზრების უნარის შემოწმება) და მოძრავი თამაში (მეთოდი „*ორი წრე*“) ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამეორებაზე და პრაქტიკაში გამოყენებაზე (მიმართულება „*სწავლით- სწავლა*“).

მასწავლებლებისთვის ძალიან აქტუალურია საგნობრივი მეთოდური სიახლეების გაცნობა და ამ მხრივ ტრენინგი, როგორც რესურსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სადაც ვრცლად გავეცანით ბოლო მეთოდურ სიახლეს, მათ შორის, ავტენტური რესურსების,

აუდიო და ვიდეორესურსების გამოყენების მეთოდებს სამეცნიერო და აუდიორების მიმართულებით დაგეგმილ გაკვეთილებზე.

დისკუსია იყო ძალიან საინტერესო; პედაგოგები წარმოთქვამდნენ საინტერესო იდეებს თემაზე „რესურსების როლი სასწავლო პროცესში“. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში ინტერნეტის გამოყენებით გაკვეთილის ჩატარება გახდა უფრო სახალისო და საინტერესო, მაგრამ თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ სკოლაში კარგი იქნებოდა ცალკე საპრეზენტაციო კაბინეტების მოწყობა, რასაც მომავლისთვის ჩემი სკოლის ბაზაზე გავითვალისწინებ.

ჩავატარე გაკვეთილი. გამჭოლ კომპეტენციაზე-სწავლის სწავლაზე ორიენტირებული სამოდულო გაკვეთილი თემაზე „პროფესიები“.

ინტერვენციის შედეგების შეფასების მეთოდები

ინტერვენციის შეფასებისთვის გამოვიყენე მოსწავლეების გამოკითხვა კითხვარებით.

„კითხვარი მოსწავლეთათვის“, დავამუშავე რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. გამოკითხვა მიზნად ისახავდა გაგვეგო გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება რუსული ენის სწავლის დროს.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა რესურსები დაეხმარება მოსწავლეს რუსული ენის უკეთ შესწავლას. როგორც კვლევამ აჩვენა, ხშირად სწავლის დაბალი შედეგის მიზეზი არის მოსწავლის ენობრივი ბარიერი, ლექსიკური მარაგის სიმწირე, სახლში ინტერნეტ რესურსების გამოყენების/წვდომის პრობლემა. სასწავლო გარემო, სახელმძღვანელოების ხარისხი, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, ასევე შედარებით ერთფეროვანი სწავლების მეთოდების და აქტივობების გამოყენება.

ინტერვენციის დროს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად გამოვიყენე მრავალფეროვანი მეთოდი და აქტივობა.

- მოსწავლეებმა უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ რუსული ენის დავალების შესრულებას;
- იმუშაონ მოსმენითი ტიპის დავალებაზე უფრო მეტად, რათა ჩამოუყალიბდეთ რუსული ლაპარაკის უნარ-ჩვევა და გახდნენ უფრო თავდაჯერებულები;
- მშობლებმა ასევე ითანამშრომლონ პედაგოგებთან და პარალელურად იმუშაონ შვილებთან, რათა გაუწიონ მუდმივი კონტროლი თავიანთ შვილებს;
- მე, როგორც პედაგოგმა, გავაღრმავო მუშაობა როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან;
- მე, როგორც პედაგოგმა, ვაწარმოო მუშაობის მონიტორინგი.

სიტუაციური თამაში, დიალოგების შედგენა, სამაგიდო, ენობრივი ან მოძრავი თამაში, რადგან ასეთი ტიპის ინტერაქციები მეტად აინტერესებთ მოსწავლეებს და სწავლის პროცესსაც უფრო სახალისოს ხდის.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა მოტივაციაზე დადებით გავლენას ახდენს მშობლის აქტიური ჩართვა შვილის სწავლის პროცესში კვლევამ აჩვენა, რომ ვერც მშობლები, ვერც მოსწავლეები ვერ იყენებენ სათანადოდ მრავალფეროვან ინტერნეტ რესურსებს, თუმცა წვდომა ინტერნეტთან აქვს ყველას.

მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ გაკვეთილებს, რომლებშიც გამოყენებული იქნება სხვადასხვარესურსი და მრავალფეროვანი მეთოდი. აღმოჩნდა, რომ დაწყებით და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაციასა და სწავლის შედეგიანობაზე დადებით გავლენას ახდენს გასვლითი გაკვეთილები, რუსულენოვანი

აუდიო, ვიდეო და მულტფილმების ყურება, მოძრავი თამაშები, ექსკურსიები, კონკურსები და სხვა აქტივობა, სადაც ბავშვებს აქვთ საშუალება მათი წარმატების აღიარება მოხდეს, როგორც პედაგოგის, ისე კლასელის მიერ.

დასკვნის სახით, მინდა ვურჩიო მოსწავლეებს, რუსული ენის მასწავლებლებს და მშობლებს აქტიურად გამოიყენონ ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ყველას ასაკის ბავშვს რუსული ენის დაუფლებაში:

□

- უნდა მოხდეს მოსწავლეთა გააქტიურება, ამაში იგულისხმება ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორებიცაა: დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და ა.შ.
- სისტემატურად გამოიყენეთ ზოგადად ტელევიზია, ინტერნეტი, სპეციალიზირებული გადაცემები, შემეცნებითი პროგრამები, კინო, აუდიო და ვიდეოკლიპები რუსულ ენაზე ენობრივი/სამეტყველო მარაგის გამდიდრებაში:

რეკომენდაცია

- სასწავლო პერიოდში აქტიურად გამოიყენეთ სხვადასხვა რესურსი, მათ შორის „კლევამი“ მოცემული ინტერნეტრესურსები და მრავალფეროვანი მეთოდი. დაწყებით და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მოტივაციასა და სწავლის შედეგიანობაზე დადებით გავლენას ახდენს გასვლითი გაკვეთილები, რუსულენოვანი აუდიო, ვიდეო და მულტფილმების ყურება, მოძრავი თამაშები, ექსკურსიები, კონკურსები და სხვა აქტივობა, სადაც ბავშვებს ექნებათ საშუალება მათი წარმატების აღიარება მოხდეს, როგორც პედაგოგის, ისე კლასელის მხრიდან.
- იმედი გვაქვს, რომ მშობლები მეტ ყურადღებას დაუთმობენ შვილებს დაბალი სასკოლო ასაკიდან და დაამყარებენ უფრო მჭიდრო კავშირს სკოლასთან.
- რადგანაც ლიცეუმში 9 კლასის შემდეგ ირიცხებიან მოსწავლეები ჩვენ არ ვიცით რა პრობლემები ჰქონდათ წინა კლასებში რუსულსლის სწავლისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინასარიძე მ, ლობჯანიძე ს, რატიანი მ, სამსონია ი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ ნაწილი II მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,
2. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის კვლევები, თბილისი, 2017
3. ლობჯანიძეს. „როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები“ ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“ 2012 წლის 3 მაისი. . <http://mastsavlebeli.ge/?p=281>
4. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსი 2 <http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201>
5. ზურაბიშვილი თ. „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173
6. წულაძე ლ. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თბ 2008. http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf
7. მანანა ბოჭორიშვილი გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები (29 აგვისტო, 2014) <http://mastsavlebeli.ge/?p=1915>
8. თამარ ჯაყელი „წაკითხულის გააზრება“, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ჰუმანიტარული საგნების ჯგუფის კოორდინატორი (გაზეთი „ახალი განათლება“, 2008, 10 -16 აპრილი]
9. „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი“ (გამომცემლობა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ 2014წ). გვ. 84-87

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის
რუსული ენის მასწავლებელი იზა ნიკოლეიშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის
ანგარიში
რეფლექსია

კვლევის ანგარიში „რუსული ენის სწავლების დროს ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა, ეფექტური რესურსების გამოყენებით“ გავაცანი ჩემი სკოლის პედაგოგებს, კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ პედაგოგებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები, მათ აღნიშნეს, რომ კვლევა საინტერესოა და მათთვის მისაღები, გასათვალისწინებელია ის რეკომენდაციები, რომლებიც კვლევის შედეგიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებული ინტერესი იყო იმ პრაქტიკული რჩევების მიმართ, რომლებიც არის მოცემული კვლევის რეკომენდაციებში.

ვფიქრობ, ჩემ მიერ წარმოებული კვლევა დამეხმარება ჩემი მოსწავლეების საგნისადმი ინტერესისა და მოტივაციის გაზრდაში, დააფიქრებს კვლევაში მონაწილე მშობელს და გაზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კოლეგები კი გაითვალისწინებენ ჩემს რეკომენდაციებს და უფრო მრავალფეროვან აქტივობებს გამოიყენებენ და მოსწავლეთათვის საინტერესო გაკვეთილებს დაგეგმავენ.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ტექნიკით უზრუნვეყოფილი კლასი ან უცხოური ენის კაბინეტი მკვეთრად აამაღლებდა ენისადმი ინტერესს და სწავლების ხარისხს. ყველა საგნის პედაგოგი დაეთანხმა კვლევის დასკვნის იმ ნაწილს, რომელიც განიხილავს მშობლის, როგორც ადამიანური რესურსის, გამოყენებას სასწავლო პროცესში. პედაგოგებმა გამოთქვეს იმედი, რომ მშობლები მეტ ყურადღებას დაუთმობენ შვილებს და დაამყარებენ უფრო მჭიდრო კავშირს სკოლასთან.

